MES 4 20 0001227672

24/12/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 10 დეკემბერს. (10.12.2020)**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;

მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითიინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

გაგაგვენეტაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. *თბილისის ჰუმანიტარული სასაწავლო უნივერსიტეტი:*

- **ნათიაქაჯაია** - რექტორის მრჩეველი;
- **ელენეკაკაბაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **სოფიომგალობლიშვილი** - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- **ნიკადუდაშვილი** - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- **ნანაბიჩენოვი** - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
- **დავითძნელაძე** -კვლევების და განვითარების ცენტრის უფროსი;
- **აიამელაძე** - კვლევების და განვითარების ცენტრის სპეციალისტი.

2. *სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი:*

- **მაია ჭიჭილეიშვილი** - რექტორი
- **ქეთევან ვაჩეიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **მირანდა ბაღდადიშვილი** - შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი.
- **სოფიო თავაძე** - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების უფროსი
- **ხათუნა ჯოხაძე** - იურისტი
- **გელა ბერიძე** - ვიცე-რექტორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. თბილისის ჰუმანიტარული სასაწავლო უნივერსიტეტის ექსპერტები:

- მაია შიშნიაშვილი

- სალომე ხუბულავა
- გიორგი კაკაბაძე
- გოჩა თუთბერიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:09 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა იქნა წარმოდგენილი ცენტრის წარმომადგენლის გიორგი მუნჯიშვილის მიერ.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი:

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 11 დეკემბრის 46-ე გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შესახებ;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 11 დეკემბრის 46-ე გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შესახებ;

საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, საბჭოს წარმომადგენელს შუამდგომლობის დაყენება სურდა დღის წესრიგთან დაკავშირებით. განმარტება გააკეთა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა გიორგი მუნჯიშვილმა. მისი თქმით, ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა გადაწყვეტილებაში ცვლილებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას განმარტებით, თავდაპირველდ აუცილებელი იყო საკითხის დღის წესრიგში გათვალისწინება, მანამ სანამ გადაწყვეტილება იქნებოდა განხილული. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური საკითხი განიხილებოდა პირველ საკითხად. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრების მხრიდან თანხმობა გამოითქვა. ცენტრის წარმომადგენელმა დააზუსტა საკითხის ფორმულირება „შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 11 დეკემბრის 46-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, აღიშნული ცვლილება ეხებოდა ტექნიკურად ჩასწორებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით, როდესაც ალტერბრიჯს მიენიჭა ავტორიზაცია, ერთ-ერთი კვალიფიკაცია ტექნიკურად არასწორად იქნა ფორმულირებული. კერძოდ, მისანიჭებელ კვალიფიკაციაში იყო „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციებში“, ხოლო ახალი კვალიიფკაციების ჩარჩოთი, ამგვარად ვერ იქნებოდა ფორმულირებული. შესაბამისად, კვალიფიკაცია ტექნიკურად უნდა გასწორებულიყო და მიეღო შემდეგი ფორმუილრება „მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი“. შეიცვალა მხოლოდ კვალიფიკაციის ტექნიკური ფორმუილისრება. ასევე, იმავე გადაწყვეტილებაში იყო ტექნიკური შეცდომა, სადაც კვალიფიკაციების ფორმულირებისას იყო გამორჩენილი სიტყვა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ეწერა „საზოგადოებრივი ურთიერთობები“, ხოლო უნდა ყოფილიყო „საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი“. საქმე ეხებოდა სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის კვალიფიკაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ კენჭისყრაზე დააყენა მისანიჭებელი კვალიფიკაციების „მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის“ და „საზოგადოებრივი ურთიერთობის მაგისტრის“ ტექნიკური ხარვეზის ჩასწორების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

2. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და

შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დასადასტურებლად, განეცხადებინათ თუ ვინ წარმოადგენდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომდგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას წარმოადგენდნენ რექტორის მრჩეველი - ნათია ქაჯაია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ელენე კაკაბაძე, ეიჩარი - სოფიო მგალობლიშვილი, სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი - ნანა ბიჩენოვი, იურისტი - ნიკა დუდაშვილი, კვლევების სამსახურის უფროსი -დავით ძნელაძე, კვლევების სპეციალისტი - მაია მელაძე.
საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას მითითებით საკითხი ეხებოდა მესამე, მეოთხე და მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ დასკვნას, სადაც ერთიანობაში 22 რეკომენდაცია გაიცა. დაწესებულებამ საბჭოს მიმართა 2020 წლის 11 სექტემბერს ავტორიზაციის საბჭოს ფარგლებში დადგენილი სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსინს საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ მათი დასკვნა.
ექსპერტის განმარტებით, ივლისში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, მათი მოვალეობა იყო შეემომწმებინათ გაცემული რეკომენდაციები რა დონეზე შესრულდა. ექსპერტის აზრით, პირველ და მეორე ვიზიტებს შორის საკმაოდ მცირე დრო იყო გასული, იყო ისეთი რეკომენდაციები გაცემული, რომელთა შესრულება მოკლე პერიოდში ვერ მოესწრებოდა. ექსპერტები გაეცნენ ყველა დოკუმენტს, ინტერვიუები ჩატარდა გეგმის მიხედვით, თუმცა იყო მცირე ხარვეზები, რის შედეგადაც წარმოადგინეს დასკვნა. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ ვისი ინიციატივით დაიგეგმა ვიზიტი. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ საბჭს წევრს განუმარტა, რომ შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებული განაცხადი შემოტანილი იყო დაწესებულების მიერ. შესაბამისად, არსებული მოკლე ვადა მონიტორინგის ვიზიტებს შორის დაწესებულების არჩევანი იყო. საუბარი განაგრძო ექსპერტმა, რომელმაც განმარტა, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციების შესრულება ნამდვილად დაიწყო, თუმცა დროის სიმცირის გამო რამდენიმე რეკომენდაციის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, „ბაზრის კვლევისა და ბაზრის კვლევის შედეგების ასახვა პროგრამების ცვლილებით“ - ექსპერტის მითითებით კვლევა ჩატარდა, თუმცა ცვლილებების ასახვა პროგრამაში ვერ მოხდებოდა დროის სიმცირის გამო. ასევე, პერსონალის შეფასების პროცესი დაწყებული იყო, მაგრამ ჯერ შედეგებზე ვერ ისაუბრებდნენ ისევ და ისევ მცირე დროის მიზეზით. შესაბამისად, პროცესი დაწყებული იყო, თუმცა დამთავრებული არა. საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას მითითებით, მართებული იქნებოდა სტანდარტების მიხედვით განხილვის თანმიმდევრობის გაგრძელება. შესაბამისად, მესამე სტანდარტით დაწყება და დეტალურად განხილვა თუ რა რეკომენდაციები ჰქონდათ ექსპერტებს, შემდგომ საინტერესო იქნებოდა დაწესებულების პოზიციის მოსმენა, თუ რა ნაწილში განხორციელდა ცვლილებები.
ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ განაგრძო მესამე სტანდარტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მისი მითითებით, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა ადრე გაცემული რეკომენდაციების შესრულება, მაგრამ პროცესი დასრულებული არ იყო. „დაწესებულებამ მოქმედ პროგრამებში უნდა შეიტანოს ცვლილებები შრომის ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე“ - დაწესებულებამ ნამდვილად ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა პროგრამებთან მიმართებაში. ექსპერტის განმარტებით, შრომის ბაზრის კვლევა ბიზნესის მიმართულებით იყო სრულყოფილი და დაწესებულების მხრიდან სერიოზული სამუშაო განხორციელდა. მაგრამ შედეგების ასახვა პროგრამაში ვერ მოესწრო, აქედან გამომდინარე დარჩა რეკომენდაცია და იგი ნაწილობრივ შესრულებულად იქნა მიჩნეული. საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ექსპერტი 3.1 სტანდარტთად დაკავშირებით საუბრობდა, რასაც ექსპერტი დაეთანხმა.

ექსპერტმა განმარტა შემდეგი რეკომენდაცია, „დაწესებულებამ უნდა განიხილოს იმ საგანმანათლებლო პროგრამების დახურვის საკითხი, რომლებზეც მოთხოვნა დაბალია და ფინანსურად არათვითკმარნი არიან“.
საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა 3.1 სტანდარტთან დაკავშირებით მოესმინათ დაწესებულების შეხედულება, რადგან დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამი ჰქონდა, რომ ამ სტანდარტთან მიმართებით არა მხოლოდ ბაზრის კვლევა ჩატარდა, არამედ გარკვეული მოდიფიცირებაც განხორციელდა და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაეკეთებინათ განმარტება. საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია, სადაც მითითებული იყო რომ ჯანდაცვის მიმართულების ყველა პროგრამაზე, სტომატოლოგიასა და ქართულენოვანი, რუსულენოვანი, ინგლისურენოვანი ფარმაციაზე ჩატარდა ბაზრის კვლევა და მოხდა მათი მოდიფიცირება, ასევე ნათქვამი იყო რომ დაწესებულება აკრედტაციისათვისაც ემზადებოდა. ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ ნაწილზე, სადაც მითითებული იყო რომ ბაზრის კვლევის შედეგები დაწესებულებამ გაითვალისწინა, ხოლო ექსპერტები ამბობდნენ, რომ კვლევის შედეგები პროგრამებში გათვალისწინებული არ იყო. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ კი დაწესებულებამ მოდიფიცირება განახორციელა, რა ტიპის იყო იგი, რა შეიცვალა პროგრამებში და რატომ არ იყო თანხვედრა დაწესებულებისა და ექსპერტების პოზიციების შორის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებსა და ექსპერტებს შორის შეხვედრას თავად ვერ დაესწრო, რა დროსაც განხორციელდა აღნიშნული საკითხზე განხილვა. მისი თქმით, ბაზრის კვლევის შედეგები დაწესებულებამ გაითვალისწინა ჯანდაცვის ყველა მიმართულების პროგრამაში, რადგან მოდიფიცირება გაუკეთდა, როგორც ქართულენოვან სტომატოლოგიას, ისე რუსულ და ინგლისურენოვან პროგრმაბეს, ასევე ქართულენოვან ფარმაციის პროგრამას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ აპირებდნენ არნიშნული პროგრამის აკრედიტაციას, თუმცა შრომის ბაზრის კვლევა შედარებით ადრე განხორციელდა - იანვარში. წინა ექსპერტების დროსაც შრომის ბაზრის კვლევა განხორციელებული იყო, თუმცა ექსპერტები დაობდნენ იმის თაობაზე, რომ სხვა პროგრამებში არ იყო აღნიშნული კვლევა ჩატარებული. აქედან გამომდინარე, დაწესებულაბამ ჯანდაცვის პროგრამებთან მიმართებითაც ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. ბიზნესის ადმინისტრირების პრგრამა დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა იმიტომ, რომ ამ პროგრამის აკრედიტაციას აპირებდნენ, თუმცა ავტორიზებულ რეჟიმში ჩვეულებრივ ახორციელებდნენ ბიზნესის ადმინისტრირების იმ პროგრამას, სადაც შრომის ბაზრის კვლევის შედეგები გათვალისწინებული იყო. ხოლო ინგლისურენოვანი მოდულები იქნებოდა დამატებული იმ პროგრამასთან მიმართებით, რომლის აკრედიტაციასაც აპირებდა საგანმანათლებლო დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის სილაბუსები მოთხოვნილი არ ყოფილა და მან მზაობა გამოთქვა მოთხოვნის შემთხვევაში მათი ექსპერტებისთვის გადაგზავნისა. მისი მითითებით, მოდიფიცირებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ბრძანებებიც გაკეთებული ჰქონდა, თავისი პროგრამებითა და სილაბუსებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა, რომ დაწესებულების მითითებით მათ ბაზრის კვლევის შედეგები გათვალისწინებული ჰქონდათ პროგრამაში. ექსპერტს სურდა ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმა. მისი განმარტებით, როდესაც ექსპერტებმა დასვეს შეკითხვები, თუ რა იქნა გათვალისწინებული აღნიშნული ბაზრის კვლევიდან, პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან მიიღეს პასუხი, რომ გათვალისწინება მოხდებოდა მომავალში. ექსპერტის მითითებით მიმდინარე ეტაპზე, ვერცერთი ფაქტი და ვერცერთი მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი, რომ შედეგები იყო გათვალისწინებული პროგრამებში. დაწესებულების წარმომადგენლებმა შეხვედრაზე განაცხადეს, რომ ბიზნესის მიმართულებით ახალი პროგრამა მუშავდებოდა და თითქმის მზად იყო, რასაც წარადგენდნენ სააკრედიტაციოდ. მოცემულ პროგრამაში კი ყველა საკითხი, რომელიც გამოვლინდა ბაზრის

კვლევის შედეგად იქნებოდა გათვალისწინებული. ექსპერტის აზრით, მისასამლებელი იყო რომ პროგრამის ხელმძღვანელები ფიქრობდნენ ბაზრის კვლევის შედეგების პროგრამაში ასახვაზე, მან თავად კვლევაც საკმაოდ კარგად შეაფასა. ექსპერტისათვის ცხადი იყო, რომ მოკლე პერიოდში დაწესებულება ვერ შეძლებდა კვლევის შედეგების პროგრამებში ასახვას.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, თუ პროგრამამ გაიარა შესაბამისი პროცედურები, პროგრამის ხელმძღვანელებს ნამდვილად ეცოდინებოდათ აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს წევრმა გამოთქვა სურვილი რომ მეტად დაკონკრეტებულიყო საკითხი რომელზეც დისკუსია მიდიოდა, რადგანაც მისი განმარტებით საკითხის განხილვას ზოგადი ხასიათი ჰქონდა და სურდა მოესმინა კონკრეტული მაგალითი, თუ რა ცვლილება შეიტანა პროგრამებში ბაზრის კვლევამ.
საბჭოს თავმჯდომარემ,თამარ ზარანდიამ დააზუსტა მისი კითხვა, მოხდა თუ არა კონკრეტულად პროგრამების მოდიფიცირება. დაწესებულების წამომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამამ პროცედურებიც კი გაიარა, თუმცა ექსპერტებთან აღნიშნული მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა, გასაუბრებაზე მოცემული საკითხის შესახებ არც პროგრამის ხელმძღვამელმა და არც დეკანმა ექსპერტებს ინფორმაცია არ მიაწოდეს. პროგრამის ხელმძღვანელმა, გააკეთა განმარტება, რომ იგი იმყოფებოდა გასაუბრებაზე, როგორც დეკანებთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელებთან. მისი მითითებით შეხვედრას ყველა პროგრამის ხელმძღვანელი ვერ დაესწრო და სავარაუდოდ ამის გამო მოხდა მცირედი გაუგებრობა. მან მიუთითა, რომ სტომატოლოგიისა და ფარმაციის პროგრამების ხელმძღვანელების ნაცვლად, რაიმე განმარტებას ვერ გააკეთებდა. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მან მხოლოდ ის ფაქტი გააჟღერა, რომ პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებიც ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული ავტორიზებულ რეჟიმში მოქმედ პროგრამაში.
საბჭოს თავმჯდომარე თამარ ზარანდია დაინტერესდა, შრომის ბაზრის შედეგად, კონკრეტულად რა იყო გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაიწყეს ინგლისური ენის გაძლიერებული შესწავლა, მაგრამ იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ პირველკურსელები, დაიგეგმა, რომ ცვლილების განხირციელება დაიწყებოდა მომავალი წლიდან. მისი თქმით, ექსპერტმა შეხვედრაზე დაინტერესდა, ინგლისურენოვანი მოდულის განხორციელება შრომის ბაზრის კვლევიდან გამომდინარე უკვე დაიწყეს თუ არა, ხოლო მან პასუხად მიიღო, რომ განხორციელება იგეგმებოდა მომავალი წლიდან სტუდენტთა ნაკადის მიღების პარალელურად. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, ექსპერტებს დაკონკრეტება არ მოუთხოვიათ და შესაძლოა, ამის გამო მოხდა გაუგებრობა, მან აღარ დააზუსტა, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა შრომის ბაზრის კვლევის პროგრამაში გათვალისწინების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რაკი ვერ მოხერხდა სტომატოლოგიის და ფარმაციის პროგრამის ხელძღვანელებთან გასაუბრება ვიზიტის პერიოდში ამ ეტაპისთვის ხომ არ ესწრებოდნენ საბჭოს. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები სხდომას არ ესწრებოდნენ, თუმცა ამასთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება მას შეეძლო. ეს იყო ახალი აკრედიტებული პროგრამა და შრომის ბაზრის კვლევიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გაკეთდა სტომატოლოგიის სამივე ენოვან პროგრამაზე კვლევა, ამ მიმართულებით გაძლიერდა ოსკია - პრაქტიკული კომპონენტი. კვლევის შედეგები მოითხოვდა ოსკის გამოცდის მეტად სრულფასოვნად ჩატარებას, ამიტომ დაწვრილებით ჩაიშალა სილაბუსში პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც რამდენიმე საფეხურისაგან შედგებოდა. დაწესებულება რვა საფეხურამდე უკვე მისული იყო, რაც დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით საკმაოდ კარგი შედეგი იყო, რადგან სამედიცინო უნივერსიტეტი თორმეტ საფეხურამდე მივიდა. გაკეთდა სრულფასოვანი კვლევა, რომელიც სპეციალურმა დაწესებულებამ ჩაატარა. ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინა ის, რომ ქართულენოვან სტომატოლოგიაში გააძლიერა ინგლისურენოვანი კომპონენტი, პროგრამას

დაემატა რამდენიმე საგანი, რომელის წაკითხვაც ინგლისურ ენაზე განხორციელდებოდა. მართალია მიმდინარე სემესტრის ცხრილში არ იყო მოცემული, თუმცა პროგრამით გათვალისწინებულია. ასევე, ფარმაციის მიმართულებით განხორციელდა რამდენიმე სილაბუსის დამატება, რომლებიც უფრო დაწვრილებით ეხება პრაქტიკულ კომპონენტს. ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო პრაქტიკულ კომპონენტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, ის ცვლილებები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, რამდენად იყო პროგრამაში ასახული. ექპერტმა მიუთითა, რომ მათი მხრიდან კითხვები დაისვა პროგრამის ხელმძღვანელებთან, დეკანთან, აკადემიურ პერსონალთან და ექსპერტებს ვერცერთმა ვერ დაუდასტურა, რომ აღნიშნული უკვე განხორციელებული იყო, მათ მიიღეს პასუხი რომ ეს გაკეთდებოდა მომავალში. აქედან გამომდინარე გაკეთდა მსგავსი შეფასება ექსპერტთა მხრიდან. მისი მითითებით დაწესებულება ნამდვილად ცდილობდა რეკომენდაციების შესრულებას, თუმცა ერთია ფაქტობრივი მდგომარეობა და მეორე რა დაიგეგმა მომავალში. ფაქტობრივი მდგომარეობა რაც დადასტურდა, მოცემულ ნაწილებში ექსპერტებმა მიუთითეს, რომ რეკომენდაცია შესრულებული იყო. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მიუთითა, რომ ვიზიტს ესწრებოდნენ, როგორც ფარმაციის, ასევე სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის წარმომადგენლები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე დასმული შეკითხვები ჩანიშნული ჰქონდა. პირველი კითხვა დაისვა, თუ რა ცვლილიებები შევიდა პროგრამაში, განხორციელებული კვლევის შედეგად. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს უპასუხეს, რომ ამ ცვლილებებს შემდგომში შეიტანდნენ, აქედან გამომდინარე დოკუმენტების გამოთხოვა ექსპერტებმა საჭიროდ აღარ ჩათვალეს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მოცემულ შემთხვევაში გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, პროგრამის ხელმძღვანელები გულისხმობდნენ იმას, რომ ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო მოცემული ვითარებიდან გამომდინარე. სათანადო იურიდიული აქტებით, პროგრამებში ცვლილებების შეტანა ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით დასტურდება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გადაგზავნილი ექსპერტთა დასვკვნა, სადაც ეწერა, რომ ცვლილებები ჯერ არ იყო განხორციელებული და კარგი იქნებოდა საბჭოს ფორმატში, გახორციელებული ცვლილებების მტკიცებულებები წარმოდგენილი ყოფილიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა მზაობა გამოთქვა, საბჭოს სხდომის დასრულებამდე საჭირო დოკუმენტაციის, როგორც მტკიცებულების წარმოდგენის თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ შესაძლებელი იყო არგუმენტირებულ პოზიცისთან ერთად ამის წარმოდგენა. ვიდრე ექსპერტები საბოლოო დასკვნას გააკეთებდნენ, თუ კი წარმოდგენილი იქნებოდა დაწესებულების მხრიდან ცვლილებები, მაშინ ექსპერტები ამას გაითვალისწინებდნენ და დასკვნაშიც შესაბამისად აისახებოდა.

ექსპერტმა განაგრძო შემდეგი საკითხის განხილვა, მისი თქმით მეორე რეკომენდაცია იყო, რომ დაწესებულებას განეხილა იმ პროგრამების დახურვის საკითხი, რომლებზეც მოთხოვნა დაბალი იყო. აღნიშნული იყო წინა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციაც, საკითხი ისევ ღიად დარჩა. როდესაც ექპერტებმა მოითხოვეს განმარტება, თუ რატომ უნდა განეხორციელებინა ეს პროგრამები დაწესებულებას, მათ ვერ მიიღეს არგუმენტირებული პასუხები. ექსპერტთა აზრით, დაწესებულებას დიდ ფინანსურ ტვირთად აწვებოდა ისეთ პროგრამები, სადაც სამი-ოთხი სტუდენტი იყო. მათი რჩევა იყო, რომ ძირითადი კონცენტრაცია გაკეთებულიყო იმ პროგრამებზე, რომლებიც იყო მოთხოვნადი და საიდანაც დაწესებულებას ექნებოდა შემოსავალი, რადგან დაწესებულების ბიუჯეტი იყო საკმაოდ მწირი. ასეთ შემთხვევაში ჯობდა რესურსების კონცენტრაცია და უფრო ეფექტურად გამოყენება, რაც იყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ გაჩნდა ეჭვი ინსტიტუციის მდგრადობის შესახებ. ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ისედაც მცირე რესურსების გაფანტვა ხდებოდა, უბჯობესი იქნებოდა დაწესებულებას კონკრეტული მიმართულებით გაეკეთებინა კონცენტრაცია. საბჭოს წევრი დაინტერესდა, მითითებულ სპეციალობებზე შრომის ბაზრის კვლევა თუ ჩატარდა. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ

პროგრამებზე კვლევა ჩატარდა. დაწესებულების მხრიდან განიმარტა, რომ დაბალი კონტიგენტის მიუხედავად იმ მიზეზით ხორციელდებოდა პროგრამები, რომ დაწესებულებამ მიიღო შეზღუდვა სტუდენტების მიღების, რაც მთავარი არგუმენტი იყო სტუდენტთა მცირე რაოდენობასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ შეზღუდვის მოხსნის შემდგომ, სტუდენტთა დაინტერესება პროგრამებზე გაიზრდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა, რომ საუბარი იყო ფარმაციის, ფსიქოლოგიისა და ტურიზმის მიმართულებებზე და ასევე, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს გაეკეთებინათ განმარტება აღნიშულ რეკომენდაციაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ იზღუდებოდნენ იმ რაოდენობით, თუ რამდენი სტუდენტი ეყოლებოდათ თითოეულ პროგრამაზე. დაწესებულება სახელმწიფოს მხრიდან არ ფინანსდებოდა, არ ფლანგავდა სახელმწიფოს ფულს, აქედან გამომდინარე პროგრამების განხორციელება მათი გადაწყვეტილება იყო. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, ექსპერტების მხრიდან აღნიშნული იყო უბრალოდ რჩევა, რეკომენდაციად მან ეს მოცემულობა არ მიიღო. იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა ორი სტუდენტი ჰყავდეს პროგრამას და დაწესებულებას ჰქონდეს სურვილი მხოლოდ ამ ორ სტუდენტს ასწავლოს, იგი შეზღუდული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას მითითებულ პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ეს პროგრამები იყო ახალი, მათ ჰყავდათ მხოლოდ მეორე კურსი, შეზღუდვის გამო პირველი კუსრი ვერ მიიღეს და აღნიშნა, რომ ტურიზმის მიმარტულებით ჰყავდათ 10 სტუდენტი, ფარმაციის მიმართულებით 12, ხოლო ფსიქოლოგიის მიმართულებით 18 სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მხრიდან რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო, რადგან წინა ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა მსგავსი შინაარსის რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, თუ რამ განაპირობა სტუდენტების მცირე რაოდენობა, დაწესებულებამ მაინც გაითვალისწინა რეკომენდაციები. მისი განმარტებით, რაიმე ფინანსური შეზღუდვის გამო პროგრამა ნაკლებად ხარისხიანად არ ხორციელდება, პირიქით ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტებიც გამოიგზავნა, მათ შორის, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ინსტიტუციის პარტნიორმა მიიღო გადაწყვეტილება, რაც დასტურდება პარტნიორთა კრების ოქმით, რომ დივიდენდზე უარის თქმის ხარჯზე, პირადი შენატანებით მოხდებოდა პროგრამების დაფინანსება. საბჭოს წევრის მითითებით, საბჭო აღნიშნულ საკითხს ყურადღებას აქცევდა არა იმიტომ, რომ დაწესებულების გადაწყვეტილებებში ერეოდნენ, არამედ მათ აინტერესებდათ რამდენად მდგრადი იყო პროგრამის განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ბიუჯეტში პირადი შენატანები განხორციელებული იყო. ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ეს სწორი სტრატეგია იყო. უნივერსიტეტს განვითარება სურდა, პროგრამა იყო ახალი, სტუდენტთა თავდაპირველი მიღებაც ცოტა იყო, პირველი კურსი არ ჰყავდათ, მაგრამ სერიოზულად მუშაობდნენ პროგრამაზე, მოწვეული ჰყავდათ პედაგოგები. დაწესებულების წარმომადგენელმა დასვა შეკითხვა, მათ 3.1 ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაში ჰქონდათ და რატომ გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის ძირითადი ნაწილი ნაწილობრივად იყო შესრულებული, შესაბამისად შეფასება სხვანაირი ვერ იქნებოდა. ამ კითხვასთან დაკავშირებით მცირე დისკუსია გაიმართა, აღნიშნული შეკითხვა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაშიც მითითებული იყო.

საუბარი გაგრძელდა 3.2 ქვესტანდარტზე, „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში აქტივები უნდა გაიწეროს თაირიღების, პასუხისმგებელი პირების და ადექვატური დაფინანსების მიხედვით“ - დაწესებულებამ გარკვეული სახსრები გამოყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, მაგრამ საუბარი იყო 27 000 (ოცდაშვილი ათასი) ლარზე, რაც არ იყო საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ მომხდარიყო პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, გაცვლითი პროგრამების და სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. ექსპერტის

განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, სადაც არ იყო გაწერილი თარიღები, პასუხისმგებელი პირები. ამის თაობაზე არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული იყო, რომ სამოქმედო გეგმაში გაიწერა აღნიშნული საკითხები. თუმცა, ექსპერტის მითითებით, ამ დოკუმენტში უფრო სრულყოფილად უნდა ასახულყო, თუ რას აპირებდა ან როგორ აპირებდა დაწესებულება საკითხის განხორციელებას.

შემდეგი რეკომენდაცია იყო „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააანალიზოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება სემესტრულად, ანალიზის შედეგები უნდა მიეწოდოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის“ - როდესაც დაისვა შეკითხვები ხარისხის სამსახურთან, ამასთან დაკავშირებით პასუხები ვერ მიიღეს ექსპერტებმა, თუ რამდენად იყო ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელებისათვის მიწოდებული. დაწესებულებას ჰქონდა სტატისტიკა, დაწყებული იყო ამის განხორციელება, მაგრამ შედეგები მიეწოდა თუ არა პროგრამის ხელმძღვანელებს და აისახა თუ არა პროგრამაში, ამის თაობაზე ექსპერტებმა ინფირმაცია ვერ მიიღეს, ვერც პროგრამის ხელმძღვანელებისგან და ვერც ხარიხის უზურველყოფის სამსახურისგან. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით „დაწესებულებამ საკუთარი რესურსების და შესაძლებლობების რეალური შეფასებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს კვლევის პრიორიტეტები, ხელი შეუწყოს კვლევით აქტივობებს და მათ როგორც სასწავლო პროგრამების, ასევე აკადემიური პერონალის განვითარებისათვის“ - როდესაც ექსპერტებმა იკითხეს, თუ რა იყო კვლევით ნაწილში პრიორტეტი, დაწესებულებას სურდა ყველა მიმართულებით კვლევების განხორციელება, რის რესურსებსაც ამჟამად იგი ვერ ფლობდა. მაგალითად, ჯანდაცვის მიმართულებით კვლევები, რაც მოითხოვდა მნიშვნელოვან მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, მისი განხორციელება ალბათ ამ ეტაპზე დაწესებულებას გაუჭირდებოდა. ექსპერტის განმარტებით, კარგი იქნებოდა თუ გამოყოფოდა კვლევის პრიორიტეტებს, იქნებოდა ეს გამოყენებითი თუ ფუნდამენტური, რომლის განხორციელების შესაბამი რესურსი ამჟამად დაწესებულებას ჰქონდა. რესურსში იგულისხმებოდა, როგორც ფინანსური და მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსი. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია იყო, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განსაზღვრავდა ხელშემწყობ მექანიზმებს უნივერსიტეტის ფუნქციების შესაბამისად. იგი არ თვლიდა, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში გაწერილი უნდა ყოფილიყო თარიღები და მითითებულიყო პასუხისმგებელი პირები. ეს ყოველივე გათვალისწინებული იყო, როგორც სამოქმედო, ისე სტრატეგიულ გეგმებში. ხოლო ბიუჯეტი გაწერილი იყო პუნქტების მიხედვით, რაც არგუმეტირებულ პოზიციაშიც იყო მითითებული. დაწესებულების წარმომადგენებლმა მიუთითა, რომ ექსპეტთა მოთხოვნის შესაბამისად მათ მიეწოდათ სამართლის პროგრამაზე ინგლისურენოვანი საგნების ჩამონათალი. ხოლო მაგალითად, ონკოლოგია, ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია, რომლის შეთავაზება გათვალისწინებული იყო მეათე სემესტრში, შესაბამისად ვერ იქნებოდა მიწოდებული, რადგანაც მიმდინარე სემესტრის საგნებს არ მიეკუთვნებოდნენ და ცხრილშიც არ ყოფილა გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ განმარტა, რომ გამოყოფილი თანხა იმ მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის აქტივობებზე, რისი განხორციელების სურვილიც იყო დაწესებულების მხრიდან გამოთქმული, იყო მწირი. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უფრო დეტალურად, თუ როგორ გეგმავდა დაწესებულება ამ თანხის გამოყენებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯეტში შეტანილი იყო მცირეოდენი ცვლილებები, ვინაიდან კოვიდპანდემიის გამო ყველაფერი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, არ იყო მგზავრობის ფული გათვალისწინებული, ასევე არც სასტუმროსი. ამიტომ დაწესებულებამ ეს თანხები გადაანაწილა და გამოიყენა ბაზრის კვლევისათვის, რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ იტერნაცინალიზაციისთვის გათვალისწინებული თანხები შესაძლოა გადანაილებულიყო სხვა აქტივობებზე, მათ შორის შრომის ბაზრის კვლევებზე. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის

განმარტებას, მან მიუთითა რომ თავდაპირველად დაწესებულებას სხვა მონაცემები ჰქონდა, ხოლო პანდემიიდან გამომდინარე ცვლილებები შევიდა ბიუჯეტში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ონლაინ რეჟიმში მიმდინარე გაცვლით პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხები პანდემიის ვითარების გათვალისწინებით სრულიად საკმარისი იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ამ ეტაპზე თუ რა აქტივობებს ახორციელებდა დაწესებულება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, განხორციელდა უამრავი კონფერენცია, რასთან დაკავშირებული ინფორმაცია ვებ გვერდზე აისახა, ასევე მოხდა ვებინარებში ჩართვა, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ჯანდაცვის, სამართლის, ფსიქოლოგიის მიმართულებით. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სამართლის მიმართულებით შეთავაზებული იყო უცხოენოვანი კურსი და მას სურდა დაზუსტება, რომელ უცხოენოვან კურსზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს იყო საერთაშორისო სისხლის სამართალი, რომელსაც კითხულობდა ლალი ფაფიაშვილი ინგლისურ ენაზე. ასევე აღნიშნა, რომ გაზაფხულის სემესტრში სამართლის ფაკულტეტზე უფრო მეტი ინგლისურენოვანი საგანი იქნებოდა შეთავაზებული, მაგალითად, საერთაშორისო კერძი სამართალი ინგლისურ ენაზე, რომელსაც კითხულობდა დავით წულაია, შედარებით კონსტიტუციურ სამართალი ასევე ინგლისურ ენაზე, რომელსაც კითხულობდა ზურაბ მაჭარაძეს, ხოლო გერმანულ ენაზე ბექა ქანთარია. საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას აზრით, პანდემიამ უფრო მარტივი გახადა უცხოელი ექსპერტების ჩართულობა, შესაბამისად დაწესებულებას შეეძლო უცხოელი პროფესორების ჩართვაც. ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რომელი პარტნიორი უნივერსიტეტები ჰყავდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, სამართლის მიმართულებით რუმინეთის უნივერსიტეტთან ჰქონდათ აქტიური თანამშრომლობა, ლალი ფაფიაშვი რუმინეთის უნივერსიტეტში წაიკითხავდა ლექციებს (რვა საათს). ასევე, ბიზნესის და ეკონომიკის მიმართულებით პარტნიორი უნივერსტეტი იყო აშაფენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტი, მათი წარმომადგენელი მოწვეული იყო ერასმუსის ფარგლებში, სტუდენტებს შორის გაცვლის პროცესი უკვე დაწყებული იყო, ხოლო იგეგმებოდა სამომავლოდ პროფესორთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებაც. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ქართულენოვან ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, ამ მიმართულებით 34 აქტიური სტუდენტი ჰყავდათ, ხოლო რუსულენოვან პროგრამაზე 72 სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ ჩამოთვალა პარტნიორი უნივერსიტეტები, აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი, ბიიდგიშის ეკონომიკის უნივერსიტეტი, ბელარუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლოძის, კიევის უნივერსიტეტი, პრაღის უნივერსიტეტი. ასევე, მემორანდუმი გაფორმდა შვედეთის უნივერსიტეტთან, ნეირობიოლოგიის მიმართულებით. აღნიშნულ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა ქართველი მეცნიერი, რომელიც აპირებდა თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტშიც ლექციების წაკითხვას. ლექციები სტომატოლოგიისა და ფარმაციის პროგრამებზე უნდა ჩატარებულიყო, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა მცირე კურსი. აკადემიური მოსწრების ანალიზთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელს სურდა საკუთარი პოზიცია გამოეხატა. მისი მითითებით, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მან ექსპერტებს აუხსნა ყველანაირი პროცედურა, თუ როგორ ხდებოდა აკადემიური მოსწრების ანალიზის განხორციელება, რა პერიოდულობით. გარდა ამისა, ბოლო სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზები დაწესებულებამ გაუგზავნა ექსპერტებს რეკომენდაციებთან ერთად. რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა, სილაბუსის მოდიფიცირება მოხდა, რადგანაც სილაბუსი მოცულობით დიდი ზომის იყო, კრედიტები გადანაწილდა, რაც სისხლის სამართლის კერძო ნაწილს ეხებოდა, იყო 10 კრედიტიანი სილაბუსი, რომელიც პირველ და მეორე ნაწილს ერთად ითვალისწინებდა. საბოლოოდ საგანი გახდა 5 კრედიტიანი, კერძო ერთი - ადამიანის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კერძო ორი - სხვა

დანაშაულები. ასევე სამეწარმეო სამართლის სილაბუსის მოდიფიცირებაც მოხდა. საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას მითითები, დასკვნაში ეწერა, რომ ანალიზიდან გამომდინარე მიღებული მონაცემების გამოყენება პროგრამის განვითარების მიზნებისათვის არ დასტურდებოდა. ექსპერტმა განმარტა თუ რაზე იყო საუბარი, დაწესეულებამ დაიწყო აკადემიური მოსწრების ანალიზი, აგროვებდა სტატისტიკას, მაგრამ აღნიშნული სტატისტიკა შემდგომ რაში იქნებოდა გამოყენებული ამასთან დაკავშირებით გაუჩნდათ ექსპერტებს კითხვები. მაგალითად, ძირითადი მაჩვენებლები უთითებდა იმაზე, რომ სტუდენტები ღებულობდნენ საკმარის ან დამაკმაყოფილებელ შეფასებას. თუ კი დაწესებულება იყენებდა ამ სტატისტიკას, როგორ იყენებდა და რას ახორციელებდა სტატისტიკიდან გამომდინარე, მიეწოდებოდა თუ არა შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებს - ეს შეკითხვები გაუჩნდათ ექსპერტებს. სტატისტიკებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების საკითხზე მცირე დისკუსია გაიმართა დაწესებულების წარმოამდგენელსა და ექსპერტს შორის. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მონიტორინგის ვიზიტის დროს მას ექსპერტმა ჰკითხა, თუ როგორ ითვალისწინებდა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგებს, ხოლო მან უპასუხა, რომ მიკროეკონომიკაში სტუდენტები დაბალ შეფასებებს იღებდნენ, იყო ბევრი არადამაკმაყოფილებელი შეფასებაც. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ მიკროეკონომიკის სავალდებულო საგნად დატოვების შესახებ კითხვის ნიშნები გაჩნდა.
საბჭოს სხდომა გაგრძელდა 3.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის საფუძვლზე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების ინდიკატორებზე დაკვირვება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გასაუმჯობესებელი აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება“ - საბჭოს წევრმა იკითხა ინდიკატორები თუ ჰქონდა დაწესებულებას, რაზეც თანხმობა განაცხადა ექსპერტმა. მისი განმატებით ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა სწავლის შედეგების ინდიკატორების მეშვეობით შეფასებაზე რეაგირების მტკიცებულება. აღინიშნა, რომ დაწესებულება ასეთი შეფასებების განხორციელებას მომავალში გეგმავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სხვაგვარად ხდებოდა წინა ექსპერტების პერიოდში და შესაბამისად შეიცვალა ინდიკატორები. აღნიშნულის განხორციელება სემესტრულად ხდებოდა. დაწესებულებამ ანგარიში წარმოადგინა იმიტომ, რომ მათ განსაზღვრული ჰქონდათ ვადა 2 დეკემბრამდე, შესაბამისად მოუწიათ მცირე პერიოდში რეკომენდაციებზე მუშაობა. წინა საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას ვადა განსაზღვრული 2 დეკემბრამდე ჰქონდა.
პერსონალის ნაწილზე ექსპერტების რეკომენდაცია იყო - „უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს შიდა საგრანტო კვლევითი დაფინანსებული პროექტების KPI-ები და არსებული მწირი რესურსები მიზნობრივად მოახმაროს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას“ ექსპერტის მითითებით წარმოდგენილი იყო დოკუმენტები და ნათქვამი იყო, რომ ინდიკატორები გაწერილი იყო პროექტის განაცხადში. როდესაც განმცხადებელს გრანტის მოსაპოვებლად შეჰქონდა განაცხადი, ამ განაცხადში გაწერილი იყო ინდიკატორები. უფრო მარტივად ასახსნელად, ექსპერტმა ითხოვა ამ დოკუმენტის ეკრანზე გაზიარება. საუბარი იყო ველზე „შესაბამისი ინდიკატორი“, სადაც ჩაიწერებოდა, თუ რა იქნებოდა განმცხადებლის შეფასების ინდიკატორი. ექსპერტების აზრით, ისეთი ინდიკატორები უნდა შემუშავებულიყო, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა პროექტის ან დაფინანსებული პროექტის შეფასება უნივერსიტეტის მიზნებთან და კვლევით პრიორიტეტებთან მიმართებით. ექსპერტის აზრით, ეს ინდიკატორები აჩვენებდა, თუ კონკრეტული პროექტი როგორ შესრულდებოდა და შესაძლებელი იყო ამ პროექტის შედეგების მონიტორინგი, მაგრამ ძალიან რთული იქნებოდა იმის გარკვევა, პროექტი როგორ დაუკავშირდებოდა უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებს. ექსპერტის მითითებით, ისეთი საერთო ინდიკატორები უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომელთა საშუალებითაც ყველა პროექტი ერთნაირად შეფასდებოდა და გამოვლინდებოდა კონკრეტული პროექტი მოემსახურებოდა თუ არა უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებს. აღნიშნული კითხვები გაუჩნდა ექსპერტს და აქედან გამომდინარე მიიჩნია,

რომ რეკომენდაცია ბოლომდე შესრულებული არ ყოფილა. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, ყველა პროექტს ჰქონდა თავისი ინდიკატორი, იმიტომ რომ პრიორიტეტები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდა, რადგანაც იყო სხვადასხვა მიმართულებები. შესაბამისად, მისთვის გაურკვეველი იყო ყველა შედეგი ერთმანეთისათვის რატომ უნდა შეედარებინა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც პროექტის კონკურსი გამოცხადდებოდა იქ უნდა ყოფილიყო ინდიკატორები გასაზღვრული. უნივერსიტეტისათვის შიდა გრანტების პირველი წელი იყო და დაწესებულება გაითვალისწინებდა რეკომენდაციას, გრანტების გამოცხადებისთანავე დაადგენდა ინდიკატორებს. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესედა თუ რა თანხა განისაზღვრა შიდა საგრანტო პროექტების დასაფინანსებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განისაზღვრა ორმოცი ათასი ლარი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ძირითადი მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო ტურიზმის, ფარმაციის და სტომატოლოგიის მიმართულებები. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა შუალედური მონიტორინგის სისტემით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველა პროექტზე შუალედური ანგარიში წარმოდგენილი ჰქონდათ. მისი მითითებით ცენტრი ახორციელებდა მხოლოდ მონიტორინგს, ხოლო შეფასებას კი საბჭო ხარისხის სამსახურთან ერთად. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის შესახებ მათ ჰქონდათ ზოგადი რეგულაცია შემუშავებული, რაც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილებით და აღნიშნული დაფინანსების სისტემა შეიცავდა დებულებებს, სადაც ზოგადი ინდიკატორები იყო განსაზღვრული. ექსპერტი საუბრობდა კონკრეტული ხასიათის ინდიკატორებზე, რომლებიც გაწერილი იყო პროექტის შინაარსში. 2020 წლის 16 იანვრის აქტით, გათვალისწინებული იქნა საექსპერტო ჯგუფის რეკომენდაციები. ექსპერტმა დაწესებულების პოზიციის საპასუხოდ დაამატა, რომ იგი ყველა დოკუმენტს გაეცნო, დაწესებულების მხრიდან მან პასუხი მიიღო, რომ განაცხადის ფორმაში შეეძლო ინდიკატორების ნახვა, შესაბამისად ექსპერტმაც წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორები.

„უნივერსიტეტი პერსონალის განვითარების პოლიტიკის შემუშავებიდან აქტიურად გადავიდეს განხორციელების ფაზაში და სრულად შეასრულოს PDCA ციკლი.“ - პერსონალის ტრენინგი ხორციელდებოდა, არსებობდა პერსონალის განვითარების პოლიტიკა, რომელშიც აღწერილი იყო, რომ უნდა ჩატარებულიყო ტრენინგები, კონფერენციები და ასე შემდეგ. ექსპერტის კითხვა იყო, ხდებოდა თუ არა პერონალის განვითარების საჭიროებების შეფასება და თუ ხდებოდა, როგორ. ექსპერტის მითითებით, დოკუმენტებში არ იყო წარმოდგენილი და ვიზიტის ბოლოს გაიგზავნა დოკუმენტი, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ უნდა დაგეგმილიყო ტრენინგები, როგორ უნდა შეფასებულიყო ტრენინგის შედეგები. ეს იყო ძალიან კარგი დოკუმენტი, თუმცა მის მიხედვით ქმედებები ჯერ განხორციელებული არ იყო. იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო დოკუმენტში აღწერილი, არ განხორციელებულა საჭიროებების შეფასება. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს პერსონალისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ჩატარდა მხოლოდ კმაყოფილების კვლევა. მაგალითად, გამოიკითა ადმინისტრაციული პერსონალი სამუშაო პირობების კმაყოფილებით, ასევე ინფრასტრუქტურის შესახებ რას ფიქრობდნენ და თავის საჭიროებებს როგორ აფასებდნენ. თუმცა, დოკუმენტში მითითებული იყო „კრიტიკული ინციდენტების, პრობლემური შემთხვევების ანალიზი, დაკვირვებები უშუალოდ სამუშაო გარემოში, გამოკითხვა შეფასების კითხვარების გამოყენებით, ფოკუს ჯგუფები, დოკუმენტაციის ანალიზი“ ექსპერტის მითითებით, ასე სრულფასოვნად ანალიზი ჩატარებული არ ყოფილა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ დოკუმენტში დეტალურად იყო აღწერილი ის პროცედურა, თუ როგორ უნდა გაკეთებულიყო შეფასებები მომავალში, დოკუმენტი შემუშავდა 10 სექტემბერს. სექტემბერშივე ჩატარდა კმაყოფილების კვლევა, წინა ექსპერტების რეკომენდაციებიდან გამომდინარე. გამოკითხვის ანალიზიდან გამომდინარე დადგა საკითხი სახელფასო ფონდთან დაკავშირებით, რასაც დაწესებულება გაითვალისწინებდა 2021 წლის იანვრის თვიდან. ასევე, გამოკითხვიდან გამოიკვეთა ტრენინგების ჩატარების საჭიროება, ხოლო დაწესებულებამ ეტაპობრივად ოქტომბრიდან

დაწყებული ჩაატარა არაერთი სახის ტრენინგი, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისთვის. დაწესებულებას ჰქონდა ინგლისური ენის კურსები კვალიფიკაციების ამაღლების კუთხით, ასევე ბევრი სხვა, რომელთა ჩამონათვალიც დაწესებულების საიტზე მოცემული იყო. საბჭოს წევრი დაინტერესდა, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პარალელურად, დასჭირდა თუ არა დაწესებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით ტრენინგები. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ტრენინგი ჩატარდა ზუმის პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე სხვა პროგრამები, რომლებიც შეიძლებოდა სწავლების პროცესში გამოყენებული ყოფილიყო. გარდა ამისა, იუტიციის სასწავლო ცენტრმა და დაწესებულებამ ერთობლივად ჩაატარა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებას.

ექსპერტის განმარტებით, შემდეგი რეკომენდაცია არ ყოფილა წინა ექსპერტების მიერ გაცემული, დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი იყო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხოლო ამ პოლიტიკაში გაწერილი იყო პერსონალის შეფასება, თუმცა არა სრულფასოვნად და დეტალების გათვალისწინებით. საუბრის დროს გაირკვა, რომ არსებობდა კიდევ სხვა დოკუმენტი, სადაც შეფასების სისტემა დაწვრილებით იყო აღწერილი. ექსპერტის მითითებით, ეს უკანასკნელი დოკუმენტის ვიზიტის დასრულების შემდგომ იქნა გადმოგზავნილი და მან ვერ მოასწრო დოკუმენტის გაცნობა. ექსპერტმა, როგორც აკადეიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალთან დასვა კითხვა, თუ როგორ ჩატარდა შეფასება, რა კითხვარები ან რა ღონისძიებები ჩატარდა, მოხდა თუ არა შედეგების უკუკავშირი. ექსპერტის განმარტებით, დასახელდა სხვადასხვა მექანიზმები და არ იგრძნობოდა ერთიანი პოზიცია. ძირითადად დასახელდა თვითშეფასება და კმაყოფილების კვლევა, ხოლო რამდენჯერმე დასახელდა სტუდენტების კვლევა. აღნიშნული შედეგი იგზავნებოდა მეილზე, თუმცა უკუავშირი უშუალოდ ხელმძღვანელთან არ დაკონკრეტებულა. ასევე, იყო საუბარი ფულად ჯილდოზე, მაგრამ აქაც არ ყოფილა აღწერილი ზუსტი მექანიზმი, თუ როგორ იყო შეფასებისა და მოტივაციის სისტემები ერთმანეთთან დაკავშირებული. ექსპრეტი გაესაუბრა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლებს და მან სთხოვა აღეწერათ თუ რა მეთოდით ხდებოდა შეფასება, რაზე პასუხიც ექსპერტმა ვერ მიიღო, არც დოკუმენტებში ყოფილა აღწერილი. ვიზიტის ბოლოს მოწოდებულ დოკუმენტში იყო დეტალები შეფასების სისტემისა და ეწერა, რომ განხორციელება დაიწყებოდა მომავალ წელს. შესაბამისად, უნივერსიტეტს დაწყებული ჰქონდა ამ საკითხზე მუშაობა, მაგრამ სრულად დანერგილი ჯერ არ ყოფილა. დაწესებულების წარმომადგენელი ექსპერტს არ დაეთანხმა, აფილირებული პროფესორის შეფასება როგორ ხდებოდა ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია ექსპერტებს მისი თქმით მიეწოდათ. აქტივობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენდაცია პროფესორებმა წარადგინეს და შეფასების სისტემის საფუძველზე მათ პრემია მიიღეს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საუბარი იყო, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება სხვადასხვა მეთოდით ხდებოდა. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში განმარტებული იყო თვითშეფასების ანგარიშის შედგენა. თუმცა იყო დასახელებული სხვა მეთოდებიც, მაგალითად ურთიერთდასწრება ლექციებზე, კმაყოფიილების კვლევა, სტუდენტების კვლევა. ექსპერტისათვის მიწოდებულ დოკუმენტში ნამდვილად იყო აღწერილი, თუ როგორ უნდა შეფასებულიყო პერსონალი, ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ დოკუმნეტი შემუშავდა 10 სექტემბრს და განხორციელება 2021 წელს მოხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას მანამდე ჰქონდა სხვა დოკუმენტი, როდესაც აფილირებულთა შეფასება სხვაგვარად ხდებოდა, აკადემიური პერონალის კი სხვაგარად, უფრო ნაკლები მოთხოვნებით. თუმცა, ექსპერტებმა როდესაც რეკომენდაცია გასცეს შეცვლასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ შექმნა ახალი დოკუმენტი, სადაც დაამატა გარკვეული პუნქტები. შესაბამისად, ახალი დოკუმენტის საფუძვლით სემესტრის ბოლოს მოხდებოდა შეფასება. ამ სტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების კიდევ ერთ წარმომადგენელს სურდა დამატება. მისი თქმით, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბევრი რამ გაკეთდა მცირე დროში, რაც დაეხმარებოდათ საქმიანობის

გაუმჯობესებასა და განვითარებაში. პერსონალის განვითარების მიმართულებით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. კადრების სამსახურმა ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგებით მომზადდა შესაბამისი ანგარიში და რეკომენდაციები, გამოვლინდა ამ მიმართულებით საჭიროებები, რომლებიც პერსონალის განვითარებას ემსახურებოდა. ამ საჭიროებების გათვალისწინებით რეკომენდაციები გადაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და რექტორს. რექტორმა აღნიშნულ საჭიროებებზე დაყრდნობით შეიმუშავა მთელი რიგი აქტები და გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. როდესაც რეკომენდაცია შეეხებოდა წახალისების სისტემის გაუმჯობესებასა და პერონალის წახალისებას, თანამშრომლებს შორის კომუნიკაციისა და გუნდური მუშობის გაძლიერების პროცესს, აღნიშნული მიმართულებები გათვალისწინებულ იქნა. მაგალითად, დაწესებულებამ იუსტიციის სასწავლო ცენტრიდან მოიწვია შესაბამისი ტრენერი და პერსონალისთვის გაიმართა სამ დღიანი ტრენინგი, ზრდასრულთა განათლების თანამედროვე მეთოდების თემატიკით. ასევე, დეკემბერის თვეში იგეგმებოდა კიდევ ერთი ტრენინგის ჩატარება. PDCA ციკლი, რაზეც დაწესებულებას შენიშვნა ჰქონდა მიღებული, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით ტრენინგების ჩატარებისა და დაგეგმვის წესის შემუშავებაც კი მოხდა. ექსპერტმა ეიჩარ ანალიზი ეკრანზე გააზიარა, სადაც გამოკითხვის ასპექტებში მითითებული იყო: „უნინვერსიტეტის ზოგადი შეფასება, საუნივერსიტეტო გარემს ზოგადი პარამეტრები, შრომითი ურთიერთობები, კომუნიკაციის მექანიზმები, მატერიალურ-ტექნიკური გარემო, სასწავლო პროცესი, სერვისები, საუნივერსიტეტო პროცესში ჩართულობა.“

ექსპერტის მითითებით მეთერთმეტე რეკომენდაცია იყო - „უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტი შეფასების მექანიზმი და დროულად გააცნოს შედეგები აკადემიურ პერონალს“ ამასთან დაკავშირებით დოკუმენტებიც იყო გამოთხოვილი და ინტერვიუც ჩატარდა. ექსპერტის თქმით, ჩატარდა პერსონალის კვლევითი კომპონენტის შეფასება და შედეგები გაეცნო აკადემიურ პერსონალს. ერთ-ერთი დოკუმენტის გახსნასთან დაკავშირებით გამოგზავნის დღეს შეიქმნა ტექნიკური პრობლემა. ამ დოკუმენტში აღწერილი იყო, თუ როგორ მოხდებოდა კვლევითი კომპონენტის შეფასება თვისობრივი კვლევის მეთოდებით, ფოკუს ჯგუფებით, ინტერვიუ და აკადემიური პერონალის გამოკითხვით. დოკუმენტის გაცნობამდე დაისვა კითხვები, თუ როგორ ხდებოდა კვლევითი დოკუმენტის შეფასება. ინტერვიუს დროს არ გამოვლენილა ის ღონისძიებები, რაც შემდგომ გამოგზავნილ დოკუმენტში იყო აღწერილი. ერთ-ერთ ინტერვიუში ითქვა, რომ შეფასებაზე საუბარი ნაადრევი იყო, გრანტები ახალი გაცემული იყო, ასევე კვლევითი საქმიანობაც იყო ახალი დაწყებული. ექსპერტის თქმით შესაძლოა, ჯერჯერობით არ ხდებოდა ისე შეფასება, როგორც დოკუმენტში იყო განსაზღვრული. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ კვლევითი კომპონენტის შესაფასებლად მრავალი მეთოდი არსებობდა. თუმცა სრულად ყველა მეთოდი იმ ეტაპისთვის, როდესაც საექსპერტო ჯგუფი იყო დაწესებულებაში, ვერ იქნა გამოყენებული. მცირე დროის გათვალისწინებით, კვლევით სამსახურმა ჩაატარა კვლევის ხარისხის მონიტორინგი აღნიშნული მეთოდების გამოყენებით. კვლევითმა სასმახურმა შეძლო მონიტორინგის შეხვედრისთვის გარკვეული კვლევის მომზადება, რომ ახალი რეგულაციის სურათი შექმნილიყო.

საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას განმარტებით, განაცხადი თავად დაწესებულებამ გააკეთა, შესაბამისად მცირე დროის ფაქტორი მათი არჩევანი იყო, შესაძლებელი ნამდვილად იყო, რომ მათ შედარებით მეტი დრო ჰქონოდათ რეკომენდაციების შესასრულებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ფარმაციულ კვლევაში ჩართული იყო 22 სტუდენტი, კვლევა ხორციელდებოდა ქართულ ენაზე. ფარმაციაზე დაწესებულებას სულ 12 სტუდენტი ჰყავდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ თვისობრივი კვლევა ნამდვილად ხორციელდებოდა და ამ კვლევებს ისინი აუმჯობესებდნენ. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან მცირე დროში ისწავლეს თუ როგორ განვითარებულიყვნენ და უკეთესად როგორ ემუშავათ. აქვე, დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა კვლევის თემატიკა, სადაც 22 სტუდენტი ჰყავდათ ჩაბმული

სტომატოლოგიისა და ფარმაციის პროგრამებიდან, ეს იყო ტექნოგენური ნარჩენებით დაბინძურებული წყლების კვლევა - მარიკა შავლაყაძე იყო ხემლმძღვანელი ამ საგრანტო პროექტისა.
„ზუსტად დაიგეგმოს საჭირო აფილირებული აკადემიური პერსონალის აყვანის გრაფიკი და გეგმის მიხედვით განხორციელდეს პროცესი“ ექსპერტის მითითებით, დაწესებულების ანგარიშში გეგმა-გრაფიკი ნახსენები იყო, მაგრამ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი წარმოდგენილი იყო ვიზიტის დასრულების დღეს, სამუშაო საათების შემდეგ. რადგანაც ექსპერტებს დოკუმენტი ნანახი არ ჰქონდათ, ინტერვიუს დროს დაისვა კითხვა, თუ როგორ მოხდებოდა გეგმა-გრაფიკის შედგენა, როგორ დადგინდებოდა რაოდენობები. პასუხად მიიღეს, რომ დოკუმენტი ჰქონდათ შედგენილი, ხოლო მისი გაცნობით ყველაფერი გასაგები გახდებოდა. ექსპერტმა გეგმა-გრაფიკი ეკრანზე გააზიარა და დაიწყო მისი განმარტება. მისი განმარტებით, დოკუმენტში არ ჩანდა, თუ როგორ იყო რაოდენობრივი ნიშნულები შედგენილი. ექსპერტისათვის მნიშვნელოვანი იყო გაეგო, თუ როგორ ივსებოდა აღნიშნული რაოდენობრივი ნიშნულები უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, რაზეც მან პასუხი ვერ მიიღო. მისი თქმით აფილირებული პერსონალის აყვანის პროცესი დაწყებული იყო, კონკურსიც გამოცხადებული იყო და ამ მიმართულებით შენიშვნები არ ჰქონდთ. ნიშნულების გამო ფიქრობდა ექსპერტი, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ იყო სრულად შესრულებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაცია აფილირებული პროფესორების ზრდასთან დაკავშირებით ჰქონდათ ჯერ კიდევ წინა საექსპერტო ვიზიტის დროს. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააკონკრეტა ექსპერტის კითხვა, რომ მათ აინტერესებდათ, თუ როგორ იყო გამოყვანილი რაოდენობრივი ნიშნულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეულ პროგრამას რა რაოდენობის აკადემიური პერონალი სჭირდებოდა ამასთან დაკავშირებით რაოდენობები მითითითებული იყო სხვა დოკუმენტში. მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია და სადაც მცირე რაოდენობით ჰყავდათ აფილირებული პროფესორები, მაგალითად, ტურიზმის მიმართულებით - მათ ჩაატარეს ორი კონკურსი და აფილირებული პერონალის რაოდენობა გაზარდეს. თავად პროგრამის შემუშავების ზოგად წესში იყო დადგენილი, თუ რა რაოდენობის აკადემიური პერსონალი უნდა ჰყოლოდა თითოეულ პროგრამას.
შედეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - „უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ პოზიციაზე შერჩევის კრიტერიუმები, რათა დაინტერესებული პირებისთვის წინასწარ იყოს ცნობილი წაყენებული მოთხოვნები და შედეგები გახდეს გამჭვირვალე“ - ექსპერტის თქმით, რეკომენდაცია შესრულებული იყო, იგი გაეცნო დოკუმენტს, სადაც აღწერილი იყო კრიტერიუმები, პერსონალთან გასაუბების დროს დადასტურდა, რომ მათთვის ცნობილი იყო კრიტერიუმები შერჩევის პროცესში.
4.2 სტანდარტთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია პერსონალმა შეიმუშაოს დატვირთვის კონტროლის მექანიზმი და პრაქტიკაში შეასრულოს დადგენილი სამიზნე ნიშნულები“ - აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებს მიეწოდათ დატვირთვის შესახებ ცხრილი, რომელიც შემოწმდა და 40 საათზე მეტი დატვირთვა 4 ადამიანს აღმოაჩნდა. შესაძლოა ეს ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი, რადგანაც ინტერვიუების დროს დაწესებულებამ მიუთითა, რომ მსგავსი ტიპის ხარვეზები ხდებოდა. ამავე დროს, კონტროლის მექანიზმი კარგად არ ყოფილა აღწერილი, იყო მხოლოდ ამონარიდი შინაგანაწესიდან. კონტროლი წელიწადში ორჯერ უნდა მომხდარიყო, ექსპერტის თქმით, შესაძლებელი იყო უნივერსიტეტის მხრიდან კონტროლის გაძლიერება. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი იყო მნიშვნელოვანი, რადგანაც აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ასევე იყვნენ სხვა უნივერსიტეტებში პროფესორები ან საჯარო სამსახურში დასაქმებულნი. დატვირთვა ზოგ შემთხვევაში ისეთი იყო, რომ მათი ჩართულობა უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელებაში შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კონტროლის მექანიზმებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზი არ გამომდინარეობდა

დაწესებულებისგან, ეს იყო ბაზებიდან. წელიწადში ორჯერ კონტროლი ხდებოდა იმიტომ, რომ სემესტრის დაწყებისას ბაზების განახლება მიმდინარეობდა. თუ კი არ მოხდებოდა წინა სემესტრის საათების დახურვა, პროგრამა ავტომატურად დათვლიდა საათებს ჯამურად რამდენიმე სემესტრისათვის, რაც საბოლოოდ გამოვოდოდა 40 საათზე მეტი. თუ კი სხვა დაწესებულებებიც არ დახურავდნენ გასული სემესტრის საათებს, აღნიშნული პრობლემა ისევ გაგრძელდებოდა და გამოვიდოდა 40 საათზე მეტი.

4.2 სტანდარტში მეთხუთმეტე რეკომენდაცია იყო შემდეგნაირი - „დაწესებულებამ გაზარდოს აფილირებული პროფესორების რაოდენობა, დადგენილი ნიშნულების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.“ რადგანაც ექსპერტამდე არ ყოფილა მისული დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნებოდა ნიშნულები და მათი შესაბამისობა უნივერსიტეტის მიზნებთან, ამიტომ მათ ვერ გამოთქვეს ზუსტი მოსაზრება გარფიკით მოცემული რაოდენობები რამდენად სწორი იყო. შესაბამისად, ჩაითვალა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, კონკრეტულად დატვირთვებთან დაკავშირებით - უნივერსიტეტის შინაგანაწესის 24-ე მუხლი ითვალისწინებდა, რომ აკადემიური პერონალის დატვირთვის გარე შეფასების მექანიზმები იყო ცნობების წარმოდგენა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და აკადემიური პერონალის საათობრივი დატვირთვების ბაზა. ყოველი სემესტრის დასაწყისში კადრების სამსახური ამოწმებდა ხსენებული ორი მექანიზმის საფუძველზე. ხოლო, აფილირებულ პროფესორთა რაოდენობასთან დაკავშირებით, ჩატარდა ოთხი აკადემიური კონკურსი, რომლის საფუძველზეც ტურიზმის მიმართულებას დაემატა 3 აფილირებული პერსონალი, სტომატოლოგიის მიმართულებას 4, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას 1, ფსიქოლოგიის მიმართულებას 2, ხოლო ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პრგრამას 2 აფილირებული პროფესორი.

ექსპერტმა საუბარი განაგრძო კვლევის კომპონენტზე. ექსპერტის განმარტებით ისინი აფასებდნენ წინამორბედი ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფაქტს. დრო იყო ძალიან მცირე, ვადა იყო ორ თვემდე. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - „კვლევის ხარისხის შეფასებისთვის რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს გარე შეფასების სისტემა, რაც თავის მხრივ გაზრდის კვლევის რეგიონალურ და საერთაშორისო ღირებულებას, ასევე მის სამეცნიერო სიახლეს“ - წინა ექსპერტების დასკვნის გაცნობასთან ერთად უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა პრიორიტეტები, რომელთა შედეგად ამოირჩა სამი შიდა გრანტი. უნივერსიტეტში ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ მეოთხე შიდა გრანტთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც. ეს იყო „ტექნოგენური ნარჩენებით დაბინძურებული წყლების კვლევა“. დადასტურდა, რომ ეს კვლევა მიმდინარეობდა და მასში სტუდენტებიც იყვნენ ჩართულები. უნივერსიტეტმა 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2020 წელს გაზარდა და 21 200 ლარს შეადგენდა მოცემული თანხა, რომელიც შიდა გრანტების სისტემას მოხმარდებოდაა. უნივერსიტეტს არაერთი პროგრამა ჰქონდა, რომლებსაც ახორციელებდა ჯანდაცვის მიმართულებით, ფარმაციის და სტომატოლოგიის პროგრამებზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამებზე ჩატარებული კვლევები მოითხოვდა დიდ დანახარჯებს, რაც იყო დიდი ფუფუნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის. დაისვა კითვა, თუ რამდენად შეძლებდა უნივერსიტეტი ამ თანხით ისეთი კვლევის განხორციელებას, რომელიც შეიცავდა ახალ სამეცნიერო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა ფოკუსირებული რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თუ დასჭირდებოდათ თანხების ლოკალიზება, შესაძლებელი იყო ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე თანხის გადატანა. ყოველი ფაკულტეტი სემესტრის დასაწყისში ადგენდა თავის ბიუჯეტს, ექსპერტის აზრით შესაძლოა რაიმე პრობლემა შექმნილიყო, თუ კი ფაკულტეტის ბიუჯეტი მოხმარდებოდა მსგავს მაღალი ბიუჯეტის მქონე კვლევას, რადგან ფაკულტეტს თავისი საჭიროებები ჰქონდა. უნივერსიტეტს განხორციელებული არ ჰქონია კვლევების გარე შეფასება, რადგან მათ საგრანტო კონკურსებიც ახალი დაწყებული ჰქონდათ. უნივერსიტეტს ჰქონდა სტრატეგიული გეგმა 2019-2025 წლების, სადაც გაწერილი იყო კომპონენტი, რომელიც

მოიცავდა კვლევით პროცესებს, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო არანაკლებ ხუთი პერსონის მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, არანაკლებ ორი აკადემიური პერსონალის მივლინება, უნდა დაგეგმილიყო უცხოელი ლექტორების მოწვევა და ასე შემდეგ. უნივერსიტეტის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, ექსპერტებს რჩებოდათ არამდგრადობის განცდა, თუ რამდენად დაფინანსდებოდა მსგავსი ძვირადღირებული კვლევები. ინტირვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა მუთითეს, რომ შეფასების ერთ-ეთი სისტემა იქნებოდა ნაშრომების გამოქვეყნება ჟურნალებში, მაგრამ რადგან კვლევები არ დასრულებულა, სტატიაც ვერ მომზადდებოდა. ექსპერტის მითითებით, გარდა სტატიისა არსებობდა კვლევების შეფასების სხვადასხვა მეთოდები, რასაც უნდა მიჰყოლოდა უნივერსიტეტი. საბჭოს წევრი დაინტერესდა გრანტზე განაცხადის განხივლაში თუ იყვნენ მოწვეული გარე ექსპერტები. ექსპერტმა განმარტა, რომ მისი ინფორმაციით მოწვეულნი იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები და ამას ასევე განიხილავდა აკადემიური საბჭო, ინტერვიუს დროს არ დასახელებულა გარე ექსპერტების არსებობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა რომ ამ ეტაპზე გარე შეფასება არ ჰქონდათ, გარე შეფასებად ჩაითვლებოდა საერთაშორისო ჟურნალები, სადაც ნაშრომები გამოქვეყნდებოდა. საბჭოს წევრს გაუჩნდა შეკითხვა ექსპერტთან, იგი დაინტერესდა ოთხ პროექტზე გახარჯული იყო ორმოცი ათასი ლარი თუ ოცდაერთი ათასი ლარი. ექსპერტმა უპასუხა, რომ გახარჯული იყო 21 200 ლარი, სადაც მეოთხე პროექტიც შედიოდა. საბჭოს წევრმა მიუთითა, რომ მოკლევადიანი კვლევები ოთხი ათასი ლარიდან იწყებოდა, თუმცა ეს ძალიან მცირე თანხა იყო. მისი კითხვით, ადმინისტრირების მომენტში, როდესაც საგრანტო პროექტის კონკურსები გამოცხადდა, როგორ იყო შერჩეული ეს ოთხი პროექტები, რა იყო პრიორიტეტები, ხომ არ იყო პროექტი პანელური მეთოდით შეფასებული. ექსპერტის პასუხით, მან ინტერვიუს დროს შეიტყო, რომ წარმოდგენილი იყო ხუთი პროექტი, აქედან აირჩა სამი. ხოლო დანარჩენი ორი პროექტი რაზე იყო ან რატომ არ შეირჩა, ამასთან დაკავშირებით ექსპერტს ინფორმაცია არ ჰქონდა. საბჭოს წევრის მითითებით ან პანელური შეფასება მოხდებოდა ან ტექნიკური ექსპერტიზა, რომელი ვარიანტი აირჩა მისთვის საინტერესო იყო. ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს წევრს, მან გამნარტა, რომ ექსეპერტებიც დაინტერესდნენ, თუ ვინ აფასებდა ამ კვლევებს. დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება, რომ მოხდა ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ შეფასებები ისევე ხორციელდებოდა, როგორც რუსთაველის ფონდში. შერჩევის დროს გათვალისწინებული იყო, თუ რამდენად შეძლებდა უნივერსიტეტი წარდგენილი პროექტის შესრულებას. უნივერსიტეტში არ ყოფილა სამეცნიერო ტექნიკური ბაზა, მათ იზრუნეს ბაზის შექმნაზე. უნივერსიტეტში ჰქონდათ მთელი კომპლექტი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის, იმუნოფერმენტული ანალიზატორი, კარლცაიზის მიკროსკოპი და ასე შემდეგ. შესაძლებელია გაკეთებულიყო გენების ექსპრესია, გენური დაავადებების აღმოჩენა, იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით შესაძლებელი იყო ბევრი სიახლის აღმოჩენა. დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება ბიომედიცინის ცენტრთან, რასაც ემატებოდა მდიდარი ბაზა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს პროექტი იყო მულტიდისციპლინური, პროექტმა ორი მიმართულება დააკავშირა, ერთის მხრივ პირის ღრუ, მეორეს მხრივ ჯანდაცვის მიმართულება და დაბინძურება. ექსპერტმა განმარტა, რომ სულ ოთხი პროექტი იყო და ოთხივე ხორციელდებოდა ცალ-ცალკე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კვლევაში სტომატოლოგიის სტუდენტი იყო ჩართული, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთის მხრივ ნარჩენებს იკვლევდნენ, მეორეს მხრივ სტომატოლოგი სტუდენტის ჩართვით შეიტანეს სტომატოლოგიური საკითხები. ექსპერტმა მიუთითა, რომ სწორედ აქედან გამომდინარე მას სჭირდებოდა არა შიდასაუნივერსიტეტო, არამედ გარე შეფასება. დაახლოებით ოთხ თვეში უნივერსიტეტს უნდა ეჩვენებინა, როგორც გარე დაკვირვება, ასევე სტატია, მხოლოდ ორმაგ რეცენზირებად ჟურნალში. საბჭოს წევრის მითითებით, აპარატურა, რაც ჩამოითვალა არსებობდა, მუშა მდგომარეობაში იყო და საქართველოს ბაზრისათვის იყო უნიკალური. მას სურდა კონკურსები მკაფიოდ ყოფილიყო გაწერილი.

ექსპერტმა განაგრძო 6.2 ქვესტანდარტის განხილვა „სტრატეგიულ და კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ ამოცანებს შეუსაბამეთ შესაბამისი ფინანსური რესურსები, გააძლიერეთ თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით, გააძლიერეთ თანამშრომლობა საერთშორისო საგანმანათლებლო კვლევით ფოდებთან და შეიცვალოს მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, გახდეს უფრო გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი. მოწვეული პერსონალის მიღებამდე ჩატარდეს კონკურსი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის სამსახურისა და სტუდენტის დასწრებით, რათა მიღებული უკუკავშირით შეირჩეს საუკეთესო კანდიდატი.“ ხოლო, 6.3 ქვესტანდარტთან მიმართებით „ჩაატარეთ სამეცნიერო კვლევების თვისობრივი შეფასება, სრულყოფილი ანალიზისა და განვითარების ინდივიდუალურ რეკომენდაციებზე ყველა მნივნელოვანი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით, შეიმუშავეთ კვლევის ხარისხის შეფასების, როგორც შიდა, ასევე გარე მექანიზმები, რათა ჩატარებული კვლევები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და მეცნიერულ სიახლეებს, რეკომენდირებულია კვლევის მიმართულებით დაფინანსების გაზრდა.“ ექსპერტმა განმარტა, რომ ინრენაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტს ჰქონდა 27 600 ლარი გამოყოფილი, აქ იგულისხმებოდა საზაფხულო სკოლები, საერთშორისო რეკლამა, უცხოელი ლექტორების მოწვევა, ჩამოყვანა ან პირიქით უნივერსიტეტში არსებული პედაგოგების გაცვლა, ვორქშოფების ჩატარება. უნივერსიტეტმა ჩაატარა ერთი კონფერენცია მენეჯმენტისა და ტურიზმის ფაკულტეტისთვის, ასევე, 26 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო კონფერენცია, თუმცა ექსპერტებთან საბუთები არ გაგზავნილა ამის თაობაზე. თუმცა, 26 ნოემბრის შემდეგ, როდესაც შევიდნენ ექსპერტები საიტზე, კონფერენციის ამსახველი მასალა იყო განთავსებული. ექპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსტეტს ინტერნაციონალიზაციის მხრივ პერსონალის გაცვლასთან დაკავშირებით გამოყოფილი ჰქონდა 6 500 ლარი, რომელიც უნდა განაწილებულიყო ყველა ფაკულტეტის პედაგოგებზე. ამ საკითზე ექსპერტებმა დასვეს შეკითხვა, მაგალითად, თუ რამდენიმე პედაგოგი წარადგენდა გაცვილთ პროგრამას, აღნიშნული თანხა საკმარისი არ იქნეოდა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს ექსპერტებს უთხრეს, რომ პრიორიტეტს მიანიჭებდნენ იმას, რომელსაც უფრო ექნებოდა მაღალი აკადემიური ღირებულება, ინოვატორული ხასიათი და ასე შემდეგ. თუმცა რაიმე განსაზღვრული სქემა, როგორ მოხდებოდა პრიორიტეტების მინიჭება არ არსებობდა. უნივერსიტეტმა წარმოადგინა, რომ სიგმა რეცეფტორებთან დაკავშირებით იყო კვლევა ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტთან, მაგრამ რაიმე საბუთი გაგზავნილი არ ყოფილა ექსპერტებისთვის. ჯერჯერობით შეფასება ჩატარებული არ ყოფილა და მისი ჩატარება იგეგმებოდა, როდესაც კვლევები გარკვეულ ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება, დოკუმენტების წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით კვლევის საკითხზე, მათ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტს შორის გაიმართა მცირე განხილვა, თუ რა მიზეზით არ იქნა მიწოდებული დოკუმენტაცია ექსპერტისათვის. კვლევების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა დაწესებულების წარმომადგენელმა, მან განაცხადა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს მიმათულებით კვლევების ჩასატარებლად ძვირადღირებული აპარატურის გამოყენება საჭირო არ ყოფილა. იგი დაინტერესებული იყო ევროპულ უნივერსიტეტებთან კონტაქტით, იგი ხშირად იმყოფებოდა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, რაც არის ინტერნაციონალიზაციის პროცესის დადასტურება. მისი თქმით, არსებობდა ბევრი გარე დაფინანსების წყაროც და მხოლოდ იმ მწირი რესურსებით, რაც უნივერსიტეტს გააჩნდა, აფილირებული თუ აკადემიური პერსონალი მაინც ახერხებდა განვითარებას. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ კვლევით კომპონენთან დაკავშირებული საკითხები თვენახევრის პერიოდში ვერ შესრულდებოდა. თუმცა, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად მოკლე პერიოდისა კვლევის კომპონენტის მიმართულებით ბევრი ღონისძიება გატარდა, კერძოდ შემუშავდა აკადემიური პერსონალის გამოკითხვისა და თვითშეფასების კითხვარები, შემუშავდა აკადემიური

პერსონალის შეფასების წესი, შესწავლილი იქნა აკადემიური პერსონალის საჭიროებები, დაიგეგმა ტრენინგები, დაიწყო თანამშრომლობა რუსთაველის ფონდთან, აკადემიური პერსონალისთვის დაემატა ინგლისური ენის ინტენსიური კურსი, დაფინანსდა კვლევითი პროექტები, დაფინანსდა სახელმძღვანელოების გამოცემა.
დაწესებულების წარმომდგენელმა შეჯამების სახით განაცხადა, რომ დაწესებულებამ მკვეთრად გამოხატა მზაობა აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტის კუთხით, გაცვლითი პროგრამებისა და პუბლიკაციების მიმართულებითაც დიდი გაუმჯობესება ჰქონდათ. ასევე აღნიშნა, რომ მოკლე პერიოდში და პანდემიის პირობებში პროცესების კიდევ უფრო დაჩქარება ობიექტურად შეუძლებელი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს მხრიდან დაწესებულებას უნდა მისცემოდა განვითარების შესაძლებლობა. მდგრადობა პირდაპირ დაკავშირებული იყო შემოსავლებთან, ხოლო შემოსავლების ძირითადი წყარო სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა იყო. ამ პროცესების გაუმჯობესება, დამოკიდებული იქნებოდა დაწესებულები შეზღუდვის აღდგენასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა სტანდარტი დეტალურად განიხილეს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:05 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:31 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის უფლების მოხსნის საკითხი, 2021 წლის ივნისში ყველა სტანდარტის მიმართ სრული მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის განაცხადში ასახული ინფორმაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 80-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.
საბჭომ დააყენა შუამდგომლობა შპს ათბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით მონიტორინგის განხორციელების შესახებ, 2021 წლის ივნისში.

17:37 წუთზე საბჭო დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ზარანდიამ.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ - ნუგზარ სხირტლაძემ.

3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა. ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ნუგზარ სხირტლაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა, რათა წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ გაიარეს ავტორიზაცია 2019 წლის 2 დეკემბერს. შესაბამისად, ერთი წელი ჰქონდათ იმისათვის, რომ შეესრულებინათ რეკომენდაციები, გაეაზრებინათ ისინი. დეკემბერში უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა რეკომენდაციების შესრულების განხორციელებაზე. ეპიდვითარების გაუარესება სახელოვნებო უნივერსიტეტისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა, ისინი გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში აგვარებდნენ ელექტრონული სწავლებით გამოწვეული პრობლემებს, რის გამოც მხოლოდ ზაფხულში შეძლო საქმიანობის გაგრძელება სამუშაო ჯგუფმა. რადგანაც რეკომენდაცია იყო სამწლიანი გეგმის მომზადება, დაწესებულებამ დაიწყო ფაკულტეტებიდან ინფორმაციის გამოთხოვა. მათ ჰქონდათ, როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმები, თუმცა რადგან იყო კონკრეტული მოთხოვნა, შესაბამისად სამუშაო ჯგუფმა დაიწყო ინფორმაციების შეგროვება სამწლიანი გეგმის შემუშავებისთვის. შეიქმნა თანამედროვე რეალობას მორგებული სამწლიანი გეგმა, გადაიხედა შესრულების ვადები. მოუხდათ ასევე გარკვეული ცვლილებების შეტანა პუნქტებთან დაკავშირებით. განხორციელდა ცვლილებები პერსონალის მომზადებისა და გადამზადების გეგმაში. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვას და მმართველი ორგანოების მეტ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ონლაინ რეჟიმში ხშირი კომუნიკაცია ჰქონდათ, მთლიანი ინსტიტუცია მიმართული იყო სხვადასხვა პროცესებში პერსონალის ჩართულობის გააქტიურებისაკენ. რაც შეეხება უწყვეტი განათლების პრობლემებს, დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ისინი სწავლობდნენ შრომის ბაზარს და იცოდნენ, თუ რომელ პროგრამებზე იყო მოთხოვნა. მათ შექმნეს, როგორ 60 კრედიტიანი პროგრამები, ასევე სასწავლო კურსები. კონკრეტულად, დაწესებულებას სურდა ინტერიერის დიზაინის მიმართულებით მოთხოვნის გაზრდა. თურქეთიდან ჰქონდათ თხოვნა საორკესტრო ინსტრუმენტების სწავლების მიმართულებით, ეს ყოველივე შეჩერებული იყო ამ ეტაპისთვის, თუმცა მათი განხორციელების ყველა პირობა არსებობდა უნივერსიტეტში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თვითკრიტიკასთან დაკავშირებით ჰქონდათ რეკომენდაცია და ამისთვის შეიქმნა ხარისხის მართვის სისტემის თვითშეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავდა უნივერსიტეტს. დაიგეგმა და უკვე ჩატარდა ტრენინგები ახალ

სტანდარტთან დაკავშირდებით. ორი პროგრამა დაწესებულებამ რეაკრედიტაციაზე გაგზავნა ახალი სტანდარტის გათვალისწინებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგები.
სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა სტუდენტების ჩართულობის სიხშირით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ განსაკუთრებით სახელოვნებო მიმართულებით ძალიან აქტიური სტუდენტები ჰყავდათ, ამიტომ ჩართული იყვნენ, როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები. სტუდენტთა მოთხოვნით შემუშავდა რამდენიმე სასწავლო კურსი, ჩატარდა ტრენინგები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამის შედეგი იყო ისიც, რომ მათ ყველა პროგრამის აკრედიტაცია წარმატებით გაიარეს. რეაკრედიტაციაზე ჰქონდათ ასევე არქიტექტურისა და მენეჯმენტის პროგრამები, ეს ორი პროგრამა გაიგზავნა ახალი სტანდარტით. გარდა ამისა, ეთიკასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების კითხვარები, ყველა კითხვარში გათვალისწინებული იყო ეთიკის კოდექსისათვის საჭირო კითხვები.
უნივერსიტეტი ჩართული იყო პლაგიატის პროგრამაშიც, ავტორიზაციისთვის მათ ჰქონდათ პლაგიატის წესი, თუმცა იგი დაიხვეწა და კონკრეტულად გაიწერა. ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდა სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი. უკვე ორი წელი იყო, რაც ნაშრომები მოწმდებოდა ამ პროგრამით, ხდებოდა მისი ინტენსიურად გამოყენება. საბჭოს წევრმა იკითხა თუ რამდენი პროცენტი ითვლებოდა დასაშვებად, რაზეც დაწესებულების წამომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ დაბალი, საშუალო და მძიმე დონის პლაგიატიზმი. მათ ჰქონდათ ისეთი შემთხვევაც, როდესაც ნაშრომი ხელმეორედ გაიგზავნა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობასაც თუ ითვალისწინებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ, როგორც სტუდენტის, ისე ხელმძღვანელის პასუხისმგებლობები. დაწესებულებას ასევე ჰქონდა ელექტრონული სწავლების ჟურნალი, ჰქონდათ დავალებების ატვირთვის შესაძლებლობა, ნიშნების ფურცელი, უწყისი და ზოგადად ამ სისტემის კმაყოფილები იყვნენ. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ არსებობდა აპელაციის სისტემაც, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ აპელაციის სისტემა მოქმედება. უნივერსიტეტის კიდევ ერთი გამოწვევა იყო, რომ აკადემიურ და მოწვეული პერსონალს სცოდნოდა ინგლისური ენა, მათ პერსონალის არჩევის წესში ინგლისური ენის ცოდნა შეიტანეს ოფიციალურ მოთხოვნად. როგრც ინგლისური, ასევე სხვა უცხო ენის სასწავლო კურსები სტუდენტებისთვისაც ჰქონდა უნივერსიტეტს მომზადებული. თუ კი სტუდენტს სჭირდებოდა თავისი ცოდნის დონის გარკვევა, უნივერსიტეტში არსებობდა ენების ცენტრი, სადაც სტუდენტები აბარებდნენ გამოცდას, რის საფუძველზეც ცოდნის დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს იღებდნენ.
უნივერსიტეტის კიდევ ერთი ამოცანა იყო აკადემიური პერსონალის განვითარება, ისინი ფიქრობდნენ, რომ ყველა მექანიზმი უნდა გამოეყენებინათ, რომელიც იყო საჭირო პერსონალის მისაღებად. ზაფხულში მათ ჰქონდათ კონკურსი, რომლის შედეგადაც სამი ახალგაზრდა თანამშრომელი შეემატათ სხვადასხვა მიმართულებით. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდათ მკაფიო ნიშნულები, თუ რომელი მიმართულებით სჭირდებოდათ სპეციალისტები. საბჭოს წევრის მითითებით, ერთ-ერთი სამომავლო საქმიანობა იყო ცოდნის ექსპორტი. რასაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი და მიუთითა, რომ მათ ამ მხრივ სამუშაო ჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ შეიმუშავეს კვლევის სტრატეგიის დოკუმენტი, სადაც გაწერილი იყო სტუდენტების პროცესში ჩართვა. გარდა ამისა დაწესებულებას ჰქონდა სამეცნიერო კვლევის მარეგულირებელი დებულებაც. საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა, თუ ჰქონდა დაწესებულებას გამოკვეთილი მიმართულებები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისიის შესაბამისად ჰქონდათ გამოკვეთილი მიმართულებები, ისინი კრებულსაც გამოსცემდნენ, რომელიც იყო სახელოვნებო მიმართულებებზე, კინოთმცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა და ასე შემდეგ. საბჭოს წევრი დაინტერესდა ბიუჯეტის რა პროცენტი ეთმობოდა კვლევებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამას დეტალურად განიხილავდნენ. ასევე კითხვა დაისვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს ჰქონდა 34 მემორანდუმი

დადებული, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სასწავლო უნივერსიტეტებთან. შემდეგი საკითხი იყო კვლევითი საქმიანობის შეფასება, არსებობდა პერსონალის შეფასების წესი, რომელის ნაწილიც იყო მისი კვლევითი საქმიანობის შეფასება. უნივერსიტეტი იყო შემოქმედებითი და მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საშემსრულებლო მიმართულებით განხორციელებულიყო შემოქმედებითი აქტივობები. კვლევითი კომპონენტის ნაწილში პერონალის დამოკიდებულება პასიური იყო, რადგან ისინი საშემსრულებლო ხელოვნებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ამ მიმართულებით იგეგმებოდა სამეცნიერო სემინარების ჩატარების პრაქტიკა. საბჭოს წევრმა იკითხა, იგეგმებოდა თუ არა შიდა გრანტების დაწესება, დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ეს ნამდვილად იგეგმებოდა და სტრატეგიაშიც გაიწერა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო საუბარი მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს უნივერსიტეტი ცოტა ხსნის გადასული იყო ახალ შენობაში, დასამთავრებელი იყო შშმ პირთა საპირფარეშოში საყრდენი კედლის მონტაჟი. თუმცა ეს მაშინვე გამოსწორდა. ხმაურის გავრცელების დონესთან დაკავშირებით განმარტა, რომ მუსიკის პროგრამები ხმაურიანი იყო. შესაბამისად, კედლები, ჭერი და იატაკი აღიჭურვა ხმის საიზოლაციო მასალით, თუმცა მაღალი აკუსტიკური დონე დარჩა შიდა ფოიეს ნაწილში. ფაკულტეტთნ შეთანხმებით აუდიტორიების გადატანა მოხდა სხვა მხარეს, გარე პერიმეტრზე არსებულ აუდიტორიებში, რამაც ხმის დონის გავრცელების ჩახშობა უზრუნველყო. დაწესებულების წარმომადგენელმა ვიდეო კამერით ანახა საბჭოს წევრებს თუ სად იყო თავდაპირველად და შემდგომ სად გადაიტანეს აუდიტორიები.
საბჭოს წევრს ჰქონდა შეკითხვა, კონკურსში მისაღებად დაწესებულება ითხოვდა გარკვეულ დონეს ინგლისური ენის ცოდნისა, მას აინტერესებდა რა დონეზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოთხოვნა იყო B1 დონე. სტუდეტებთან მიმართებით კი, მაგისტრატურის საფეხურზე დაწესეულებას ჰქონდა B1, B2, C1 დონის სასწავლო კურსები. სტუდენტებს თავდაპირველად უტარდებოდათ ტესრირება ენის დონის ცოდნის შესამოწმებლად და ამის შესაბამისად ნაწილდებოდნენ ისინი ჯგუფებში. B2 დონის სტუდენტები C1 დონეზე გადიოდნენ. მათი კურსდამთავრებულებიდან ორმა სტუდენტმა დაამთავრა მაგისტრატურა პოლონეთში, ერთმა იაპონიაში, ერთმა ჩეხეთში, ორი მიდიოდა გერმანიაში. უნივერსიტეტს შეთავაზება ჰქონდა არა მარტო ინგლისური ენის სწავლების, არამედ, გერმანული, თურქული, იტალიური. საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენ სტუდენტზე იხსნებოდა ენის ჯგუფი, დაწესეუბლების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ 5-10 სტუდენტზე, სულ უნივერსიტეტში 391 სტუდენტი ჰყავდათ. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომელ ევროპულ უნივერსიტეტებთან ჰქონდა დაწესებულებას ურთიერთობა და გაფორმებული მემორანდუმები. ერთ-ერთი პროექტი განხორციელდა გერმანელ პროფესორთან ერთად, ეს იყო იენის უნივერსტეტის პროფესორი. მუსიკის ფაკულტეტი აქტიურად მუშაობდა რუმინეთის უნივერსიტეტთან. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ რადგანაც დაწესებულების წარმომადგეელმა მიუთითა 34 უნივერსიტატთან თანამშრომლობა, ეს იყო საკმაოდ დიდი ციფრი და მას აინტერესებდა აქედან რომელ ევროპულ უნივერსიტეტთან ჰქონდათ აქტიური კავშირი მათ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ოვიდიუსის უნივერსიტეტთან გაფორმდა მემორანდუმი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 18:24 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
სხირტლაძე ნუგზარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ